თვითდამაზიანებელი ქცევის პრედიქტორები : ემოციური თვითრეგულაცია, აღზრდის სტილი და პიროვნული ნიშნები

ნატალი მიქანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა : ფსიქოლოგია

მიმართულება : კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მარინა გეგელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი :

როგორც წარდგენელი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნატალი მიქანაძე

5.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანი იყო თვითდამაზიანებელი ქცევის, ემოციური რეგულაციის, აღზრდის სტილებისა და პიროვნული ნიშნების ურთიერთკავშირის გამოვლენა. კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი დიზაინით და მოიცავდა როგორც აღწერით, ასევე დასკვნით სტატისტიკას. მონაწილეობა მიიღო 101 სრულწლოვანმა პირმა (22 კაცმა და 79 ქალმა).

მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად, დადასტურდა ჰიპოთეზა 1, რომლის მიხედვითაც, ემოციური თვითრეგულაციის სირთულეები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უკავშირდება ავტორიტარულ და ლიბერალურ აღზრდის სტილს. ნაწილობრივ დადასტურდა ჰიპოთეზა 2, რომლის მიხედვითაც აღზრდის სტილებს კორელაციურად უკავშირდება პიროვნულ ნიშნებს (კერძოდ, ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია ექსტრავერსიასთან, მიმღებლობასთან და სინდისიერებასთან; ავტორიტარული სტილი კი დადებითად დაკავშირებულია ნევროტიზმთან და უარყოფითად ექსტრავერსიასთან). სრულად დადასტურდა ჰიპოთეზა 3, რომლის მიხედვითაც, ნევროტიზმი ძლიერ კორელაციაშია ემოციური თვითრეგულაციის სირთულეებთან.

მეოთხე და მეხუთე ჰიპოთეზები შეეხებოდა თვითდაზიანების პრედიქტორებს ზემოაღნიშნული ფსიქოლოგიური მახასიათებლებით. მიუხედავად ცვლადებს შორის კორელაციური კავშირებისა, ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზით ვერც ერთმა მონაცემმა ვერ მიაღწია სტატისტიკურად მნიშვნელოვან პროგნოზირებად ნიშნულს. შესაბამისად, ჰიპოთეზა 4 და ჰიპოთეზა 5 არ დადასტურდა.

შედეგები აჩვენებს, რომ თვითდაზიანება კომპლექსური და მრავალფაქტორიანი ფენომენია, რომლის უკეთ გასაგებად სამომავლოდ საჭიროა დამატებითი, უფრო სიღრმისეული კვლევები, არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით.

Abstract

The present study aimed to identify the interrelationships between self-harming behavior, emotion regulation, parenting styles, and personality traits. This quantitative research utilized descriptive and inferential statistical methods. A total of 101 adult individuals participated in the study, comprising 22 males and 79 females.

Upon processing the collected data, Hypothesis 1 was confirmed, indicating that difficulties in emotional self-regulation are statistically significantly associated with authoritarian and permissive parenting styles. Hypothesis 2 was also confirmed, which posited that parenting styles correlate with personality traits (specifically, the authoritative style with extraversion, agreeableness, and conscientiousness; the authoritarian style with neuroticism and negatively with extraversion). Hypothesis 3 was fully confirmed, demonstrating that neuroticism is strongly correlated with difficulties in emotional self-regulation.

Hypotheses 4 and 5 concerned the prediction of self-harming behavior based on the aforementioned psychological characteristics. Despite observed correlational links between the variables, logistic regression analysis did not reveal any statistically significant predictive value for any of the data. Consequently, Hypothesis 4 and Hypothesis 5 were not confirmed.

The results suggest that self-harm is a complex and multifaceted phenomenon. To better understand this phenomenon, future research, taking into account existing limitations, should conduct additional, more in-depth investigations.

მადლობა

გაწეული შრომისა და დახმარებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს მარინა გეგელაშვილს, რომელიც მუდმივად გვერდით მედგა, აქტიურად იყო ჩართული პროცესში და ყველა კითხვაზე ამომწურავად მპასუხობდა. მისი რჩევა-დარიგებები და რეკომენდაციები დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის დასრულებაში. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპოდენტს, რომლებმაც გამონახეს დრო კითხვარის შესავსებად. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და გარკვეულ შედეგებზე საუბარი.